ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 23 ნოემბერი № 1649

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვ̃ის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

კვირას, 25 ნოემ. ქართული თეატრი ბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« დაკლებულის ფასებით »

გ. აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

მელოდრ. 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით დენიერისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ლეჟავა; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი ‘ დ სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია:**

გალერეია 20 კ., პარტერი 50 კ., ლოჟები 3 მ. შეგირდებისათ. კუპონები ლოჟ. 60 კ.

მზადდება: **ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ** ახალი პიესა «**შვილის ცოდოსათვის**». და „**მუზმუზელა**“ (**ტარტიუფი**) **კ. მესხის** მონაწილეობით. რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ზ. მადლაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოდ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ **ტელეფონი № 274.** (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ქ. ბათუმში
ექიმი სიმონ იაკობის ძე ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი სნეულებანი) დილის 9—12 საათამდე და საღამოს 3—5 საათამდე. ღარიბებს უფასოდ. სმეკალოვის ქუჩა, ს. ვარძელოვის სახლი № 20. (10—8)

აფთიაქი

თიანეთისა სახლიანათ იძლევა იჯარით. პირობები: თიანეთი, პროვიზორს კ. ა. ჯაპვაძეს. პასუხისთვის მარკა. (2—195—2)

მთავრობის განკარგულება

სამხედრო უწყება:

უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდან 28 დღის ვადით.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან მილიციის პრაპორშჩიკი ბიჭია გეორგობიანი ოჯახის საქმეების გამო.

გამორიცხულ იქმნა სამსახურიდან გარდაცვალებისა გამო მოსკოვის მაზრის ქვეითა ჯარის პოდპორუჩიკი ლორთქიფანიძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

20 ნოემბერი

ლონდონი „ტაიმსს“ ატყობინებენ პრეტორიიდან: «სამხედრო მოქმედება კაპის ახალშენში სულ დასავლეთისაკენ არის. ბურები, რომელნიც ახალშენის შუა ადგილს აოხრებდნენ, ეხლა განდევნილი არიან დასავლეთისაკენ, რკინის გზის იქეთ, სადაც ისინი უფრო ადვილად დაემალებიან ინგლისელებს. ინგლისელების მოქმედება შეფერხებულია ნიადაგის თვისებით, წყლის უქონლობითა და რკინის გზის სიშორით. ეხლა ბურები ჩრდილოეთისაკენ გაჩნდნენ და მათის დაჭერის სიძნელე ცხადია. ბურების რაზმი 13 ია და მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარი ზომებია მიღებული, ბურები მაინც მიიმალნენ. ბურები სულ 130 (?) კაცია, ამათ რიცხვში ბევრი აჯანყებული კაპელია.

კონსტანტინეპოლი. ინგლისის საელჩომ შეატყობინა პორტას, რომ ახლო ხანებში დარდანელზე გაატარებენ რუსეთში ნაყიდ ცხენებს სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად.

ბერლინი. გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც გერმანიის კონსული ლვოვში სტერსადი წასულიყოს ამ ქალაქიდან უკანასკნელ ამბების გამო, სრულებით უსაფუძვლოა; კონსული ეხლაც აქ არის.

ვარშავა. დამტკიცდა წესდება ვარშაველ მერძევეთა ამხანაგობისა. ამხანაგობის მიზანია ფასების მოწესრიგება, მერძევობის სკოლის დაარსება და მოგზაურ ინსტრუქტორების ყოლა.

შანხაი. ქვრივმა დედოფალმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ტუანის შვილს წაერთვა უფლება ტახტის მემკვიდრეობასა; პრინცი სასახლიდან განდევნილია—მას მიეცა ჰერცოგის ხარისხი, მაგრამ არავითარი განსაზღვრული თანამდებობა კი არა აქვს. ბრძანების სიტყვების თანახმად, ამ ზომის მიღების მიზეზი ის ყოფილა, რომ იმ კაცის შვილს, რომელმაც მოკრივეთა მოძრაობა შექმნა, დაღუპვამდე მიიყვანა დინასტია, არ შეუძლია იყვეს ტახტის მემკვიდრედ.

ვენა. 19 ოქტომბერს, ვენაზე გაიარა ქვრივმა დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა. რუსეთის ელჩი გრაფი კაპნისტი შეხვდა მის უდიდებულესობას გმუნდენში. გიუტელდორფში დედოფალს შეხვდნენ სამხედრო აგენტი როპპი და საელჩოს წევრები. ვენის სადგურზე მატარებლის მოსვლამდე მოვიდა იმპერატორი ფრანც-იოსები ანდრია პირველ წოდებულის ლენტით. მატარებელი რომ მოვიდა, გრაფმა კაპნისტმა შეატყობინა იმპერატორს დედოფლის მოსვლა, იმპერატორი გაემართა ვაგონისაკენ და გულწრფელად მიესალმა დედოფალს. დედოფალს მიართვეს მშვენიერი თაიგული. მატარებელი დაიძრა 7 ს. და 50 წ. შემდეგ იმპერატორი გამოეთხოვა გრაფ კაპნისტს, მიაცილა ჰერცოგინია ტინა კუმბერლანდელი ეტლამდე და ვიშენბურგში დაბრუნდა.

ვაშინგტონი. რუზველტი კონგრესთან მიწერილ ეპისტოლეში მაკ-კინლეის იხსენიებს და თხოულობს, რომ ანარხისტების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოიცეს. პრეზიდენტი ურჩევს განათლებულ სახელმწიფოებს, რომ ანარქისტების ბოროტ-მოქმედებას ისე შეჰხედონ, როგორც საერთა-შორისო უფლების უარყოფას. ეპისტოლე შტატების კეთილ-დღეობას აღნიშნავს, ტრესტების ცუდ მხარესაც აღიარებს, თუმცა კი ტრესტებს მომეტებულ ნაწილად უსამართლოდ ჰკიცხვენო. ამ სენის ყოველი ამბავი უნდა გამოაშკარავდეს. ეს უკეთესი წამალი იქნება მის განსაკურნებლად. მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს, რომ დიდ სამრეწველო საზოგადოებათ თვალ ყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს. თითონ ხალხმაც ყური უნდა უგდოს ამ ტრესტებს. ალებ-მიცემობის საქმეზე ცალკე მინისტრი დაინიშნება. ამის შემდეგ ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ამერიკელ მუშების ინტერესების დასაცველად სადამოჟნო ტარიფი უნდა დაწესდეს და უცხოელებს ამერიკაში დასახლების უფლება კანონით შეუმცირდეს. ტარიფის საზოგადო შეცვლა შეუძლებელია: ჩვენი ქვეყნის ალებ-მიცემობა შეირყევაო; უნდა დავაწესოთ, რომ ნება გვქონდეს, უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ხელ-მეორედ გამოვართვათ ხოლმე ბაჟი. ალებ-მიცემობის გასაძლიერებლად ახალი ბაზრების შეძენაა საჭირო; ამ საქმისათვის, სადაც კი შესაძლებელი იქნება, სადამოჟნო ტარიფით უნდა ვისარგებლოთ. ამიტომ სხვა სახელმწიფოებს მეგობრულად უნდა მოვექცეთ. ჩვენი სავაჭრო ფლოტის გაძლიერებისათვის უნდა ვიზრუნოთ. სასურველია, რომ ხელ-შეკრულობა ნიკარაგუას არხის შესახებ დამტკიცდეს. ამერიკას გულითა სწადიან, რომ ყველა ერებთან მეგობრულად იყვეს. ამერიკის ყველა, შტატების პოლიტიკა მონროეს აზრზეა დაფუძნებული. მაგრამ ჩვენ ქვეყანას არა სწადიან არც ადგილების შეძენა ამერიკაში და არც რაიმე უპირატესობის მიღება. მონროეს დევიზის ძალით ვერც ერთი ჩვენებური სახელმწიფო ვერ გადარჩება სასჯელს, თუ უცხო ქვეყანას ცუდად მოექცა; თუ სხვაგნებური სახელმწიფო მოინდომებს ამერიკის რომელისამე რესპუბლიკის დაჭერას, მაშინ კი ამ დევიზის დასაცველად ფლოტი უნდა გავაძლიეროთ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამერიკას მარტო თავისს ინტერესებისა და უფლების დაცვა სწადიან და სხვა არაფერი. ჩვენ უნდა გვაღონებდეს და გვაწუხებდეს, როცა უცხო სახელწიფოები ჯარს აძლიერებენ. ჩინეთში ამერიკა ყველასათვის თანასწორობას თხოულობს და „ღია კარების“ პოლიტიკას მისდევს. დასასრულ ეპისტოლეში მოხსენებულია, რომ ამერიკამ გულითადი სამძიმარი გამოუცხადა ინგლისს დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალებისა გამო და გერმანიას—ქვრივი დედოფლის გარდაცვალებისა გამო. სხვა სახელმწიფოებმაც გულ-წრფელი სამძიმარი გამოუცხადეს ამერიკას პრეზიდენტ მაკ-კინლეის გარდაცვალებისა გამო.

21 ნოემბერი

პეტერბურგი. ფინლადიის დიდი სამთავროს სტატს-სეკრეტრ-მინისტრის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი გრაფი არმფელდი ამ თანამდებობიდან დაითხოვეს.

კონსტანტინეპოლი ხონთქარმა ბრძანება გამოსცა და დაამტკიცა შეთანხმება ოსმალეთის ბანკთან 600,000 ოსმალური გირვანქის სესხის შესახებ.

ვაშინგტონი. მიწად-მოქმედების ბიურო ანგარიშობს, რომ წელს ამერიკაში 9,675,000 ცალი ბამბა მოვაო.

ბერლინი. რეიხსტაგში შინაგან საქმეთა მინისტრმა პოსადოვსკიმ სადამოჟნო ტარიფის მოკლე ისტორია მოახსენა დეპუტატებს და ამტკიცებდა, რომ ყოველ საქონლისათვის ცალკე სადამოჟნო ტარიფი უნდ დაწესდესო. ხელ-შეკრულობის განხილვის დროს მინისტრი ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობის დასაცველად აუცილებლად საჭიროა მფარველობითი ტარიფი გაძლიერდესო, მაგრამ აგრარიებს აფრთხილებს, მეტის-მეტსაც ნუ მოითხოვთო. ცენტრის დეპუტატი შპაკი ამტკიცებს აგრეთვე, რომ საშუალო მიწად-მომქმედთ უსათუოდ უნდა დავეხმაროთო, მაგრამ მისი დასიდან არც ერთი დეპუტატი არ დასთანხმდება, რომ აუცილებლად საჭირო ბაჟებს თუნდაც ცოტა რამ მოუმატონო. თავისუფალ მოაზრე საერო დასის წევრი რიხტერი უარ-ჰყოფს სადამოჟნო ტარიფის სარგებლობას და აცხადებს, რომ სოფლის წვრილ მეურნეთა უმეტესობას არაფერს არა ჰრგებს მფარველობითი ბაჟებიო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანია. გაზეთ «ნოვოსტი»-ის სწერენ ბერლინიდან: «პურის ტარიფის პროექტი ორი დიდი წიგნი—550 გვერდი—გამოვიდა».

მებატონეებს ძლიერ ეშინიანთ,ვაი თუ რეიხსტაგმა არ მიიღოს ეს პროექტიო, და ეხლავე ათას მუქარას უთვლიან გრაფ ბიულოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ნაციონალ ცაიტუნგ»-ი იუწყება: «ყველა იმ აზრისაა, რომ რეიხსტაგს უეჭველად დაითხოვენ და ახალ არჩევნებს დანიშნავენ».

✿ ბერლინის ქალაქის თავის თანაშემწედ არჩეული ბ-ნი კაუფმანი მეორედაც არ დაამტკიცა მთავრობამ. შინაგან საქმეთა მინისტრმა შეატყობინა ქალაქის საბჭოს: იმპერატორმა ბრძანა, ახალი არჩევნები მოახდინეთო. ქალაქის საბჭომ 24 ოქტომბერს დაადგინა: მესამედაც ისევ ბ-ნი კაუფმანი ავარჩიოთო.

✿ შოვინისტები არ იშლიან და ინგლისის მთავრობას ისევ პროტესტს უცხადებენ: უნდათ, რომ ჩემბერლენს ბოდიში მოახდევინონ. შოვინისტების დასამშვიდებლად, გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა: ჩემბერლენის ნათქვამს ყურადღებას ნუ აქცევთ. მთელმა ქვეყნიერობამ იცის, რომ გერმანიის მამაცი ჯარი ჩინებულად, კაცთმოყვარულად იქცეოდა ყველგანაო. ამაზე ეჭვიც არავის აქვსო. ამას გარდა, მთავრობას ყველგან შეუტყობინებია მოხელეებისათვის: ხალხი დაამშვიდეთ, თორემ ინგლისის გადაკიდებით ბევრს ვიზარალებთო.

ავსტრ.-უნგრეთი. პარლამენტის სხვა-და-სხვა დასებს კიდევ ჰქონდა თათბირი. პირველად კერბერს ელაპარაკნა. პირველ მინისტრს ეთქვა: ამისთანა მდგომარეობას უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოსო. მთავრობა და ხალხი თხოულობენ, რომ პარლამენტმა რიგზე იმუშავოს. იმედი მაქვს, საქმეს იქამდე არ მიიყვანთ, რომ მთავრობამ ახალი არჩევნები დანიშნოს; პარლამენტმა უსათუოდ უნდა დაამტკიცოს ბიუჯეტი. ჩეხების სახელით პაცაკმა გამოაცხადა: ჩვენ გადაწყვეტით ვერას გეტყვითო. თუ ჩვენ ეროვნულ მოთხოვნილებაზე ხელი ავიღეთ და ბიუჯეტის დამტკიცებას ხელი შევუწყეთ, მაშინ გერმანელები აღარად ჩაგვაგდებენ. ამიტომ ჩვენ ვერას დავპირდებით მინისტრს და როგორც ჩვენთვის საჭიროდ და სამჯობინაროდ დავინახავთ, ისე მოვიქცევითო. პოლონელებმა, რუმინებმა და რუსინებმა თანხმობა გამოაცხადეს, ბიუჯეტს დავამტკიცებთო. ბაერნრეიტერმა გერმანელ დასთა მეთაურების სახელით ილაპარაკა: რამწამს ბიუჯეტი დამტკიცდება, ჩეხების მოთხოვნილებაც უნდა განვიხილოთო. დასასრულ კერბერმა სთქვა: იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენი თათბირი უნაყოფოდ არ ჩაივლის და პარლამენტი წესიერად იმოქმედებსო.

საფრანგეთი. ამ მოკლე ხანში, იქმნება ამ ზამთარშიაც, პარიზში საერთა-შორისო კონგრესი მოხდება, იმ აზრით, რომ პროსტიტუციის წინააღმდეგ ღონისძიებანი მიიღონ.

«მატენ»-ი იუწყება: საფრანგეთის მთავრობამ სხვა სახელმწიფოებს სთხოვა, თქვენი წარმომადგენლები გამოგზავნეთ კონგრესზეო. კონგრესმა პროსტიტუციის მიზეზები უნდა შეისწავლოს, გამოიკვლიოს და მის წინააღმდეგ ღონისძიებანი მიიღოსო.

ინგლისი. ჩემბერლენის სიტყვამ მთელი გერმანია აალაპარაკა. თუმცა თითონ ჩემბერლენი ყურსაც არ იბერტყს გერმანელების ყვირილზე, მაგრამ ინგლისურმა გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს გერმანელების პროტესტებს და საყვედურს უცხადებენ კოლონიების მინისტრს: ყველაფერში წინ დაუხედავი კაცი გამოდგაო. ამის გერმანიაც გადაგვკიდოსო. რასაკვირველია, ინგლისს გერმანიისა, თუ სხვისა ვისიმე არ ეშინიან, მაგრამ რა საჭიროა იყო მთელი ერის აყაყანებაო. გაზეთ „დაილი ტელეგრაფ"-ი სწერს:

«ამ ბოლოს დროს გერმანიაში ისეთი ამბები მოხდა, რომ ინგლისის მთავრობა სწორედ გაშტერებული კითხულობს: რამ აადელვა ასე გერმანელებიო. ყველას ესმის, რომ გერმანიისა და ინგლისის მეგობრობას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი განათლებული კაცობრიობისათვის. ამ ორი ქვეყნის გადაკიდებას საშინელი ამბავი მოჰყვება. ორივე ერს დიდი საერთო ინტერესები აქვთ. თუ ერთმანეთს მტრობა დაუწყეს, საზარელი ფინანსიური კრიზისი მოხდება მეტადრე გერმანიაში: ამ ქვეყანას ინგლისში დიდ-ძალი საქონელი შეაქვს, ისიც უბაჟოდ. ყველა სხვა ქვეყნებში კი დიდი ბაჟებია დაწესებული. იმედი გვაქვს, რომ გონიერი გერმანელები ეცდებიან და ინგლისის მტრებს დაამშვიდებენ».

✿ გაზ. «მატენ»-ის ლონდონელ კორრესპონდენტს შეუტყვია,—მინისტრების საბჭომ გარდასწყვიტა, ამას იქით კრიუგერსა და მისს მრჩევლებს ნურარად ჩავაგდებთ, ნურარას დავეკითხებითო. თუ ზავის ჩამოგდებას მოვინდომებთ, საქმე პირდაპირ პრეზიდენტ შტეინთან და ბურების გენერლებთან დავიჭიროთო.

✿ ტრანსვაალის მოქალაქის დოქტორ კრაუზეს საქმე დღესაც არ გაურჩევიათ. ეს არის, რომ მთავრობას უფრო წვრილობის თვალით შეუხედნია და თავდებობით გაუშვიათ ციხიდან. თავდებად ცნობილი ჟურნალისტი სტედი და რაიდერი დასდგომიან. ამ თავდებებისათვის მოსამართლეს გამოუცხადებია: თუ კრაუზე სასამართლოში არ გამოცხადდა, მაშინ თქვენც სამართალში მიიცემით, როგორც შეთქმულების თანამოზიარენიო.

✿ პოლიტიკურ მოღვაწეს ლორდ სპენსერს ამ დღეებში ქალ. ნიუ-პორტში ულაპარაკნია და მთავრობის პოლიტიკა და სამხრეთ-აფრიკის ომი საშინლად დაუგმია. დასასრულ ორატორს უთქვამს, რომ იმისთანა გულად ერს, როგორიც ბურები არიან, უსათუოდ კარგი პირობებით უნდა შევურიგდეთო: ეხლავე სრული ავტონომია უნდა მივცეთო.

✿ თუ გაზეთ «მატენ»-ს დაუჯერეთ, ინგლისის ლიბერალური დასი ეხლავე შესდგომია არჩევნებისათვის მზადებას. «მატენ»-ი სწერს: ლიბერალური საზოგადოების წევრებს დასის მეთაურებისაგან წერილი მოუვიდათ, არჩევნებისათვის ფული მოაგროვეთო. წერილის ავტორების აზრით, ეხლანდელი პარლამენტი დიდ ხანს ვერ გასძლებს და მოკლე ხანში ახალი არჩევნები დაინიშნებაო.

✿ გაზ «ნოვოსტი»-ის კორრესპონდენტი იუწყება: პარლამენტი მომავალ 16 იანვარს შეიკრიბებაო.

შეერთებული შტატები. «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ი იუწყება: როგორც სჩანს, ამერიკის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონგრესი ცუდის მეტს, კარგს არას მოიტანსო: სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკები მთლად გადაუდგებიან და გადაეკიდებიან შეერთებულ შტატებსაო. არგენტინისა, ბრაზილიისა, ბოლივიისა, პერუსა, პარაგვაის და კოლუმბიის წარმომადგენლებს ძლიერ სწყენიათ შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მედიდურობა და წინ-დაუხედავი ქცევა: ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენლები მარტო იმას ცდილობდნენ, რომ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკები თავიანთ ნებაზე დაეყოლიებინათ. ამიტომ ზემოხსენებულ რესპუბლიკების წარმომადგენლები მისწერეს თავ-თავიანთ მთავრობას, მექსიკიდან (სადაც კონგრესია) შინ დაგვაბრუნეთო.

ჰოლანდია. ინგლისის სოციალისტებს შემოუთვლიათ ჰოლანდიელებისათვის: ძლიერ თანაუგრძნობთ ბურებს, გვინდა რომ სრული დამოუკიდებლობა შერჩეთ იმათ რესპუბლიკებს, მაგრამ თქვენ მხარს ვერ დაგიჭერთ და ინგლისის გემების დატვირთაზე ხელს ვერ ავიღებთო. ვიმეორებთ, თქვენცა და ბურებსაც წრფელის გულით თანაუგრძნობთ, მაგრამ თქვენი განზრახვა მეტად ძნელი შესასრულებელია, სულ ერთია—არა გამოვა-რაო.

ჰოლანდიელ მუშებს მაინც გადაუწყვეტიათ, სხვებს ნურას უყურებთ, ჩვენ თითონ დავიწყოთ და ჩვენი განზრახვა შევასრულოთო. გაზეთ «დეილი ნიუს»-ს სწერენ ამსტერდამიდან: «ნავთსადგურის მუშების კომიტეტმა დაადგინა,—ინგლისის გემების წინააღმდეგ გაფიცვა 16 დეკემბერს დავიწყოთ ამსტერდამშიო.

სამხრეთ აფრიკა. «ტაიმს»-ის ჰააგელი კორრესპონდენტი სწერს: ინგლისის სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა კაცი მიუგზავნა პრეზიდენტს კრიუგერს: თუ ინგლისს ოქროს მადნის ადგილებს დაუთმობთ, შეგარიგდებითო. ამბობენ, ბროდრიკმა განგებ სცადა კრიუგერი, აბა რას იტყვის, მოინდომებულია ზავის ჩამოგდებას თუ არაო.

ასეა თუ ისე, პრეზიდენტს მაინც მაშინვე გადაჭრით უარი ეთქვა: ინგლისის ეხლანდელ მთავრობისა აღარა მრწამს რა და ამიტომ ხმასაც არ გავცემო. რომელიმე სახელმწიფო თავდებად რომ დადგეს და ბურების რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა უზრუნველ ჰყოს, მაშინ კი ზავის ჩამოგდებას აღარაფერი არ დაბრკოლებსო.

✿ ინგლისურ კარიკატურულ ჟურნალ «პონჩ»-ში ამნაირი კარიკატურა დაუხატავთ: სამხრეთ-აფრიკის ომმა 1950 წლამდე გასტანა. ბურები სულ გასწყდნენ. ერთი კაცი-ღა დარჩა, ეს კაცი ლორდ კიტჩენერთან მისულა. მთავარ-სარდალი ჰკითხავს: აჰა, მოხველ მორჩილების გამოსაცხადებლად!

—დიახ, მოველ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ჩვენ რესპუბლიკებს სრული დამოუკიდებლობა შერჩეთ!

ეს კარიკატურა გესლიანად და თანაც მოსწრებულად ასურათებს ბურების შეუპოვრობას. ეს არის, რომ თუ ომმა 1950 წლამდე გასტანა, ინგლისის სახელმწიფო კასაში, მგონი, ერთი გირვ. სტერლინგიც აღარ დარჩეს. ამიტომ, ჩემის აზრით, ეს ცარიელი კასაც უნდა დაეხატნა ჟინგოისტურ ჟურნალს და ცარიელ კასის გვერდზე ინგლისელი ჯიუტი შოვინისტები დაეყენებინა.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 22 ნოემბერს, მისის იმპერატორებით უმაღლესობის ხელმწიფე მემკვიდრის დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს **საექსარხოსო ეკლესიაში** საქართველოს ექსარხოსად ნამყოფმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, გორის ეპისკოპოსის კირიონისა და ქალაქის სამღვდელოების თანა მწირველობით, გარდაიხადა წირვა და შემდეგ პარაკლისი. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი, კავკასიის სამხედრო ორივე კორპუსთა უფროსები, გუბერნიის თავად-აზნაურთა და ზოგიერთი მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავის მოადგილე, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ ნი სულტან კრიმ-გირეი და სხვა სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი და ხალხი.

ქალაქი დღისით მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინათ ოდესიდან ჩამოსულან ტფილისში ოდესელ ვაჭრის კოხრიკის ორი წარმომადგენელი რაშკევიჩი და პოგრებეცკი და თან დიდ-ძალი ძვირფასი საქონელი ჩამოუტანიათ. პოლიციას შეეტყო, რომ ჩამოტანილი საქონელი **კონტრაბანდა** იყო და ამიტომ გუშინ წინ გაჩხრიკეს „სევერნი ნომრები"-ს ის ოთახები, სადაც ზემოხსენებული პირები სცხოვრობდნენ. გამჩხრეკლები იყვნენ ბოქაული გედევანიშვილი და დამოჟნის მოხელე ნიკოლსკი. აღმოუჩენიათ 20 ოქროს საათი, 240 შავის თუჯისა და 500 ნიკელისა, რომ არც ერთს დამოჟნისი ნიშანი არ ჰქონდა. დასახელებული საქონელი დამოჟნაში გაგზავნეს. ეს რაშკევიჩი იმ რაშკევიჩის შვილია, რომელიც ამას წინად მოჰკლეს ტფილისში და 30 ათას მანეთის ბრილიანტები მოჰპარეს.

✦ გუშინ-წინ დაიხურა **საიუბილეო გამოფენა** და ექსპონატების გატანაც დაიწყეს. ჯილდოების გამოცხადება ამ თვის ბოლომდე არ მოხდება, რადგან უმთავრესი საექსპერტო კომისია მანამდე ვერ გაათავებს მუშაობას.

✦ რადგანაც მომავალ წლის 15 იანვრიდან ტფილისში **მეეზოვეთა ინსტიტუტი** იქნება შემოღებული, პოლიციამ უწყებები დაურიგა სახლის პატრონებს და წინადადება მისცა მათ ეხლავე შეუდგნენ შესაფერ პირების მოძებნას.

✦ გახსნის დღიდან დახურვამდე **გამოფენაზე ყოფილა** სულ: დღისით—161,299 კაცი ფასით და 5930 უფასოდ, საღამოს—10.127 ფასით და 917 უფასოდ. სულ შემოსვლია კომისარიატს—30.454 მ. 5 კ. მოელოდნენ კი 35-ათასზე მეტს. ნახევარი საღამოს შემოსულ ფულიდან გასართობების კომისიამ წაიღო. დეფიციტი დანამდვილებით არ არის ჯერ გამორკვეული, დაახლოვებით კი ზარალი უნდა უდრიდეს 25—30-ათასს მანეთს.

✦ დ. ხონიდან სწერენ „არგონავტს": ამ ბოლო წლებში **ხონის სამასწავლებლო სემინარია** ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, რადგან რამდენჯერმე შეწყვეტილი იყო ხოლმე სწავლა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. ზავადსკიმ და ოქტომბრის დამლევს გაგზავნა ხონში ბ. სლოვინსკი იმის გამოსაძიებლად, თუ რატომ მიატოვეს სემინარია და შესწყვიტეს სწავლა სემინარიის ყველა მოსწავლეებმა. სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ბ. სლოვინსკიმ დაწვრილებით შეისწავლა სემინარიის ცხოვრების ნაკლულევანება, ადგილობრივვე მიიღო ზომები ამ ნაკლულევანებათა მოსასპობად, განაკარგა მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების პირობები, სრულებით დაამშვიდა ისინი და სწავლა ეხლა წესიერად სწარმოებს".

✦ კავკასიის **საბრეშუმო სადგურში** ამ ჟამად წარდგენილია შესამოწმებლად შემდეგი ფირმის აბრეშუმის **გრენა** (თესლი): არასხანიანცისა, ს. ტადევოსიანცისა, შ. პაშაიანცისა, ტერ-ზახარიანცისა, გალუსტიანცისა, ედუარდ ბლოკის,და სხვა—სულ 8,000 ყუთზე მეტი. უმეტესი ნაწილი ამ გრენისა ადგილობრივადაა დამზადებული. უცხოეთიდან შემოტანილი გრენა კი ჯერჯერობით ნაკლებადაა ჩვენში, რადგანაც წარსულ წელს უცხოელ მეთესლეებმა ძლიერ დიდი ზარალი ნახეს აქ და წელს, ცოტა არ იყოს, სიფრთხილით ეკიდებიან საქმეს. ჩვეულებრივი ფასი ერთ ყუთ გრენაზე ჩვენში საზოგადოდ 2—3 მანეთამდე ადის. წელს კი ერთი ყუთი შემოწმებული გრენა იყიდებოდა 20—30 კაპ. დიდი ზარალი ნახეს გრენის ყიდვა-გაყიდვის საქმეში მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ, და გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა", რომელთაც დაურჩათ გაუყიდველი 6,000 ყუთზე მეტი. ხსენებულ ამხანაგობებს სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ გრენის შეძენის საქმეში—ამხანაგობებმა უნდა შეიძინონ იმდენი გრენა, რამოდენსაც შეუკვეთენ მეაბრეშუმეები.

✦ 20 ნოემბერს, საღამოზე, საზოგადო კრება ჰქონდა კავკასიის **იურიდიულ საზოგადოების** წევრებს. კრებას დაესწრო 27 კაცი. პირველად განიხილეს საზოგადოების მდივნისა და ხაზინადრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები; საზოგადოებას საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსვლია 721 მან. ხოლო დახარჯულა სულ 516 მან. მომავალ წლისათვის კასაში დარჩა 205 მან.

ანგარიშების დამტკიცების შემდეგ, საზოგადოება შეუდგა გამგეობის წევრების და მოხელეთა არჩევანს. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ოლქის სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი, მის ამხანაგებად ო. ა. ფერსმანი და ლ. ი. შევალიე; ხაზინადრად ი. კ. სავიცკი. მდივნებად მ. ო. გრუზენბერგი და ა. ი. მიტკევიჩი, ხოლო ბიბლიოთეკრად—ო. ი. ოსტენ-საკენი.

კრების დასასრულ ნაფიც ვექილის თანაშემწემ ბ-ნმა მ. გრუზენბერგმა წაიკითხა ვრცელი რეფერატი ამ ს-თაურით: „ხელშეკრულების დარღვევისათვის დადებულ ჯარიმის შესახებ რუსეთის სამოქალაქო დებულების პროექტით". რეფერატმა ის იყო გაცხარებული კამათი გამოიწვია დამსწრე წევრთა შორის, რომ უკვე გვიან შეიქმნა და ამიტომ მისი განხილვა გადადვეს შემდეგ მორიგ კრებისათვის.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წევრთა საზოგადო წლიური კრება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად მოხდება ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

✦ განზრახვა აქვთ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველოსთან დააარსონ რაც შეიძლება სრული **საპედაგოგიო მუზეუმი**.

✦ გუშინ-წინ, ერთის მუშის საჩივრის გამო მომრიგებელი მოსამართლე იყო გამოფენაზე და **ნავთის პანორამა** აწერა. მუშა უჩივის ნავთის მწარმოებლებს 200 მანეთს.

✦ **საქალაქო სკოლების** გამგე კომისიის წევრმა ბ. ლისიციანმა წარუდგინა ხსენებულ კომისიას საქალაქო სკოლებისათვის განზრახულ **საპედაგოგიო მუზეუმის** ხარჯთაღრიცხვა.

✦ კომისარიატმა ნება მისცა სასწავლებლებს წაიღონ გამოფენიდან სოგიერთი ექსპონატები **სასკოლო მუზეუმისათვის.**

✦ კავკასიის **ფარმაცევტების საზოგადოებას** განზრახვა აქვს დააარსოს ბიურო ფარმაცევტებისათვის ადგილების საშოვნელად.

✦ **რკინის გზის საპენსიო კომიტეტის** სამმართველოს განზრახვა აქვს შემოიღოს საპენსიო კასის წევრების სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევა.

✦ ტფილისის **მეორე სავაჟო გიმნაზიის** უფროსებს მოუწვევიათ **სტენოგრაფიის** მასწავლებელი გიმნაზიის უფროსს კლასების მოსწავლეებისათვის. ამ საგნის სწავლება დაიწყო 20 ნოემბრიდან.

✦ საქალაქო სკოლების გამგე კომისიამ გუშინდელ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა ადგილობრივ ენების გაკვეთილების განაწილება **საქალაქო სკოლებში.**

✦ ბარონესსა ტიზენჰაუზენმა წინადადება მისცა საქალაქო **სკოლების გამგე კომისიას** შეიძინონ მისი სახლი კოჯორის ქუჩაზე სკოლისათვის. ეხლა ეს შენობა დაქირავებული აქვს ქალაქს გიჟებისათვის, მაგრამ სახლის უვარგისობის გამო გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სხვაგან გადაიყვანოს ავადმყოფები.

✦ როგორც შევიტყეთ, **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობის თავმჯდომარეს მიწერ—მოწერა გაუმართავს ბაქოსა, ბათუმსა და სხვა ქალაქების ამ საზოგადოების გულ-შემატკივრებთან ითაონ და წელს დრამატიულ საზაგადოების სასარგებლოდ წარმოდგენები გამართონ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა გამგეობის უკანასკნელს სხდომაზე წარადგინა განსახილველად მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქნეს წესები ქალაქის **სასენიზაციო მილების** გამართვისა. გამგეობა დაეთანხმა ბ. ჩერქეზიშვილს ამ ცვლილების მოხდენის საჭიროებაზე და დაადგინა წარუდგინოს ეს წინადადება ქალაქის საბჭოს.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის კანცლიარიასთან არსდება **მეურნეობის მუზეუმი.**

✦ 20 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიის დადგენილება—მიეცეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ხელოსანს ვავრს 150 მან. და მასწავლებელს კატანიანცს 50 მან., და გადასწყვიტა იშუამდგომლონ ტფილისის ქალაქის საბჭოსთან მიეცეთ აღნიშნულ პირთ ეს ფული.

✦ როგორც „არგონავტს" შეუტყვია, განზრახვა აქვთ დააარსონ ტფილისში **ბებიობის** და მასაჟის **კურსები.**

✦ ბათუმიდან გვწერენ: „კვირას, ნოემბრის 18, აქ გახსნა თავისი მაღაზია ადგილობრივმა **მომხმარებელმა საზოგადოებამ**, სახელწოდებით «ეკონომია»-მ. საზოგადოებაში ამ ხანად ოთხასზე მეტი წევრია. მაღაზიის გახსნის წინ გარდახდილ იქმნა მოკლე პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ საკმაო რიცხვი წევრებისა; დეკანოზმა მ. ალ. რალცევიჩმა მოკლე სიტყვით მიმართა წევრებს და უსურვა საქმეს წარმატებით სვლა. საზოგადოებას თავისი სავაჭრო მოთავსებული აქვს ორ მაღაზიაში მარინსკის პროსპექტზე, ტფილისის კომერციულ ბანკის სახლის ქვედა სართულში. მაღაზიას მშვენიერი შეხედულობა აქვს და, იმედია, საქმე სასურველად წარიმართება, რადგან ამ საქმეს სათავეში შეგნებული პირები უდგიან".

✦ **ხონიდან** გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად იქ ყოველ-დღე მიდის უბრალო კორესპონდენციის **ფოსტა.** დაზღვეული, ფასიანი და სახელმწიფო წერილები კი ჩვეულებრივად კვირაში ორჯელ იგზავნება. სასურველია, რომ ეს საქმე უფრო რიგიანად იქნეს მოწყობილი, რადგან დ. **ხონის** ფოსტა-ტელეგრაფის **კონტორა** აკმაყოფილებს თითქმის სამ მაზრის მცხოვრებლების საჭიროებას. მეტად ავიწროებს მცხოვრებლებს ფოსტა-ტელეგრაფის გამგის ბ. უსოვის ახლად შემოღებული წეს-რიგი. წინად კორესპონდენციის მიღება და გაგზავნა შეიძლებოდა ერთ და იმავე დღეს. ახალი წეს-რიგით კი კორესპოდენცია უნდა ჩააბარონ ფოსტა-ტელეგრაფის კონტორას წინა დღით, რაც ძლიერ უხერხულია როგორც ხონელებისათვის, აგრეთვე შორეულ სოფლელებისათვისაც. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა გადაიტანეს ახალ სადგომში და მოათავსეს იგი ქვედა სართულში, სადაც ოთახები ძლიერ დაბალ-კედლებიანი და ნესტიანია. ზემო სართულში კი მოთავსდა თვითონ გამგე.

✦ **მოგვივიდა** გეოგრაფიულ საზოგადოების „იზვესტია"-ს ამ წლის მე-5-ე ნომერი და ამავე საზოგადოების მიერ გამოცემული «основныя черты растительнаго міра на Кавказѣ, რადდესი, ხუთის სურათით.

✦ როგორც შევიტყეთ, გორის მაზრის ცხინვალისა, ბრეთისა და ოქონის საზოგადოებათა სოფლის მცხოვრებლებს შუამდგომლობა აღუძრავთ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოსთან, რომ **ქარელისა და გომის სადგურებს** შუა რკინის გზის მე-195 ვერსტზე მატარებლების გასაჩერებლად **პატარა სადგური** იქნეს გაკეთებული.

✦ ჯიმითიდან (სიღნ. მაზ). გვწერენ: „ამ ბოლო დროს მეტად **გახშირდა ქურდობა**: წასულ თვის 15-ს, გლეხს ი. თევდორაშვილს გაუტეხეს სახლი და ყველაფერი წაიღეს. ამთვის 17-ს ზ. შიშნიაშვილს გაუტეხეს სახლი და გაეტანათ სკივრი, რომელიც ნახევარ ვერსის მანძილზე ნახეს დამტვრეული. 18 კი, შებინდებისას, მიუხტა ამ **სოფლის მღვდელს** მ. დ. სართანიძეს **რვა შეიარაღებული კაცი.** ოთხი ეზოში დამდგარიყო ყარაულად და ოთხი კი სახლში შესულიყო. ავაზაკებს მღვდლისათვის ხელ-ფეხი შეეკრათ, ერთიც ზედ დაჯდომოდა და ხანჯლით დაეწყო ჩხვლეტა-ჩქარა მოგვეცი ფულიო. მეორეს დაეჭირა მღვდლის ცოლი და იმისთვისაც ხანჯლით დაეწყო ჩხვლეტა. გაჭირვებულ მღვდელს ეთქვა ცოლისათვის—რაც გვაბადია, მიეცი, იქნება აღარ დაგვხოცონო. ფულად თუ ნივთებით ავაზაკებს წაეღოთ 700 მანეთზე მეტის ღირებულებისა. შემდეგ დამსხდარან, კარგად გამომთვრალან და წასულან მხოლოდ შუაღამის მეორე საათზე. მეორე დღეს დილით გადმოვიდა ს. ქოდალოდან ბოქაული გ. კვალიაშვილი და შეუდგა გამოძიებას მღვდელმა დაუსახელა ბოქაულს პირები, ვისზედაც ეჭვი აქვს.

✦ 21 ნოემბერს, ღამით, აგტაგლისა და ნავთლუღ შუა ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შეპარულან საქონლის მატარებელ №-145-ის ერთ ვაგონში და წაუღიათ 10 ფუთი თხილი.

✦ ყარსის რკინის გზის სად. ახტალიდან გვატყობინებენ, რომ იქ 21 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, გლეხმა ტიგრან შახნაზაროვმა სადგურის მე-3 კლასში რევოლვერით მოჰკლა ბორჩალოს მაზრის მცხოვრები პაშა პოღოსოვი, რომელიც გამოპარული იყო ორლოვის გუბერნიიდან, სადაც ამას წინეთ გადაასახლეს.

რუსეთის ქრონიკა

∝ აქამდის მოსწავლე ებრაელები, რომელნიც ათავებდნენ ოთხ ან ექვს კლასიან პროგიმნაზიებს, დაუბრკოლებლად გადადიოდნენ გიმნაზიის შესაფერ კლასებში იმის მიუხედავად, თუ ამ კლასებში ებრაელები რამდენ პროცენტს შეადგენდენ. ეხლა კი, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, პროგიმნაზიებიდან გადმოსულ ებრაელებსაც ისე მოეპყრობიან, როგორც ახლად შემოსვლის მსურველებს.

∝ გიმნაზიებისათვის საბუნებისმეტყველო საგნების ერთგვარ გეგმისა და პროგრამის შესამუშავებლად სამოსწავლო ოლქის მზრუნველებმა უნდა საგანგებო კომისიები შეადგინონ ადგილობრივ. კომისიის წევრები იქმნებიან ხსენებულ საგნების მასწავლებელნი.

∝ საერო განათლების სამინისტრო სამეცნიერო კომიტეტმა დაასრულა კერძო სასწავლებლების შესახებ ახალ დებულების პროექტის განხილვა. ახალის დებულებით, კერძო სკოლების დაარსება შეუძლიანთ არა მარტო კერძო პირებს, არამედ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ, სამეცნიერო და საქველმოქმედო საზოგადოებათ, საქალაქო, საერობო და წოდებრივ დაწესებულებათაც. პროექტი არჩევს სამ ტიპს სკოლისას—ელემენტალურს, პირველ-დაწყებითს უმაღლესის ტიპისას და საშუალოს; პროექტში აღნიშნულია აგრეთვე დროებითი და მუდმივი კურსები. ამ პროექტთან ერთად განიხილეს საკითხი, რომელიც ეხება კერძო სკოლების განსაზღვრულ ცენზიან მასწავლებლების უფლებას ჩინებისა და პენსიის მიღებაზე.

∝ აქამდე მემკვიდრეობაზე დადებულ ბაჟს იხდევინებდა სასამართლო დაწესებულება, თუმცა ჯერ კიდევ 1882-ში იყო გადაწყვეტილი, რომ ეს საქმე ფინანსთა სამინისტროს ხელში ყოფილიყო. ეხლა ფინანსთა სამინისტროში შეუდგენიათ ახალი პროექტი, რომლის ძალით ხსენებულ ბაჟის გადახდევინება სახაზინო პალატების ხელში უნდა გადავიდეს. გარდა ამისა შევსებული იქნება ამ საქმის შესახები კანონმდებლობა ახალის მუხლებით.

∝ საერო განათლების სამინისტროში შეუმუშავებიათ პროექტი ნორმალურ წესდებისა მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების სამაზრო განყოფილებებისათვის.

∝ თევზაობის ახალ წესდების პროექტს ამ მოკლე ხანში განიხილავს სახელმწიფო საბჭო.

∝ საერო განათლების სამინისტრომ ნება მისცა გარეშე პირებს დაიჭირონ სამაზრო სასწავლებელის კურსის ეგზამენი საქალაქო სასწავლებლებში, თანახმად 1872 წლის 31 მაისის დებულებისა.

∝ ამ მოკლე ხანში გადასინჯვენ არსებულ კანონებს „უკანონოდ შობილთა" შესახებ. განზრახვა არის გააუმჯობესონ ამ კატეგორიის პირების მდგომარეობა. პირველად ყოვლისა უნდა შესცვალონ სახელწოდება „უკანონოდ შობილი» და მის მაგიერ შემოიღონ „ქორწინების გარეშე შობილი». ქორწინების გარეშე დაბადებულთ მიენიჭებათ ახალი უფლებები. მაგ. უფლება მემკვიდრეობისა და მამის გვარის ტარებისა. მაგრამ მამა თუ ხარისხოვანია, ეს ხარისხი ვერ გადავა ქორწინების გარეშე დაბადებულზე.

∝ საექიმო დეპარტამენტის განკარგულებით, კბილის საექიმო სკოლებში შესვლის ნებართვა მიეცა ყველა იმ პირებს, (ქალსა და კაცს) ვისაც ,,შინაურ მასწავლებლის‘‘ მოწმობა აქვს.

∝ როგორც ვიცით, პეტერბურგის საექიმო აკადემიაში საცდელად 1902 წლიდან მიიღებენ რეალურ სკოლებში კურს დამთავრებულთაც. ეხლა ხსენებულ აკადემიის კონფერენცია იხილავს საკითხს, შესაძლებელია თუ არა, რომ სემინარიელებსაც მიეცეთ ეს ნებართვა.

∝ საერო განათლების სამინისტროს ახსნით, კომერციულ სასწავლებელში კურსდამთავრებულს უფლება აქვს პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლობაზედ განსაკუთრებულ ეგზამენების დაუჭერელად.

∝ საერო განათლების სამინისტროს გაუგზავნია ყველა საშუალო სკოლების (კერძო სკოლებისთვისაც) პედაგოგიურ რჩევებისათვის ცირკულიარი, რომელშიაც სამინისტრო წინადადებას იძლევა განიხილონ საკითხი სასკოლო შემნახველ კასების დაარსების შესახებ და ანგარიში ამ განხილვისა წარუდგინონ სამინისტროს არა უგვიანეს ამ წლის 1-ლ დეკემბრისა, რადგან განზრახვა არის 1902 წლის 1-ლ იანვრიდან ყველგან შემოიღონ ხსენებული კასები.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

19 ამ თვეს მოხდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. საყურადღებო კითხვა ძლიერ ცოტა იყო სიაში მოთავსებული, მაგრამ სჯა-ბაასი მაინც გამოიწვია ორმა-სამმა საგანმა. პირველი საკითხი ეხებოდა ეკლარას ქვით სარგებლობის ფორმას.

როგორც ვიცით, ქ. ქუთაისს ფერმისკენ საშენი ქვის სატეხი აქვს. თვით-მმართველობა იჯარით აძლევდა ამ ქვას კერძო პირებს და ესენიც სტეხდნენ ქვას, მაგრამ ისე კი, რომ არავითარ წინდაწინ შემუშავებულ წესრიგს არ ემორჩილებოდნენ. წელს საბჭომ გადასწყვიტა მიანდოს საგანგებო კომისიას გამოკვლევა იმისა, თუ რომელი წესი უმჯობესია ქალაქისათვის,—ისევ იჯარით გაცემა, თუ ქალაქის გამგებლობაში დატოვება ამ შემოსავლიან საგნისა. კომისიამ წარმოუდგინა საბჭოს დასაბუთებული მოსაზრება, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ყოველ მხრივ სასარგებლოა ქალაქის ინტერესებისათვის ამ საქმის თვით-მმართველობის განკარგულებაში დატოვება. თუმცა ზოგი საბჭოს წევრთაგანი წინააღმდეგნი იყვნენ კომისიის ამ აზრისა, მაგრამ ხმის უმეტესობით მაინც მიიღო ეს წინადადება.

მეორე კითხვა—ქალაქის ასსენიზაციის მოწყობის საქმე იყო. ქალაქის გამგეობის აზრი იყო ეს საქმე იჯარით გაცემულიყო, მაგრამ ხმოსან ბ. კირილე ლორთქიფანიძის დასაბუთებულ ახსნა-რჩევით საბჭოს უმრავლესობამ ეს საქმეც გამგეობის განკარგულებაში დასტოვა.

ბ. კირილეს აზრით, გამგეობა უნდა სცდილობდეს გააფართოვოს მოქმედების ასპარეზი, თორემ ახლანდელი წესით ისე მიდის საქმე, რომ, შეიძლება, ახლო მომავალში საკანცელარიო საქმეებიც იჯარით გავცეთო.

შემდეგი საინტერესო კითხვა ზოგიერთ ხმოსანთა გამწვავება თავ-გამოდებით იყო ახლად დაარსებულ პურის მცხობელ საზოგადოების მექანიურ ფურნის სადგომის მოწყობა. პურის მცხობელ საზოგადოებას დაუქირავებია ფურნისთვის ქალაქის შენობა, გამგეობაც უკვე შეკვრია პირობით ამ საზოგადოებას, მაგრამ ეს საქმე ვერაფრად მოსწონებია ადგილობრივ სახლის მეპატრონეს, ხმოსანს ბოკერიას, რომელსაც იმ ადგილის პირდა-პირ, სადაც ეხლა ფურნეს აკეთებენ, საკუთარი სახლი აქვს; დაინტერესებულმა ხმოსანმა განცხადება შეიტანა გამგეობაში, რომ იმ ადგილზე არას გზით ახალი ფურნის გაკეთება არ შეიძლება, რადგანაც ეს ქალაქის შუა ადგილია და ამას გარდა ჩემი ორ-სართულიანი სახლიც იქვე არისო. ქალაქის გამგეობას მიუნდვია ამ საქმის გამოკვლევა არხიტექტორისათვის. არხიტექტორსაც შეუსწავლია საქმე და წარმოუდგენია გამგეობისათვის დასაბუთებული მოხსენება, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ ფურნის გაკეთება, თუ გინდ ქალაქის შუა-გულ ადგილზე, იშვიათი და საშიშო ამბავი არ არის. დასამტკიცებლად მას მოჰყავს მაგალითები პეტერბურგისა, მოსკოვისა და ოდესისა, სადაც უფრო დიდი ამგვარი ქარხანებია შუა-გულ ადგილასო. რაც შეეხება ბ. ბოკერიას ორ-სართულიან სახლს, ფურნე ვერავითარ ვნებას ვერ მოუტანს, რადგან ფურნის საკვამლე მილი უფრო მაღალია, ვიდრე ეს სახლი, და გარდა ამისა, მისდა დასამშვიდებლად კიდევ შეიძლება სიმაღლის მომატება იმდენად, რომ კვამლი სულ არ გაეკარება ბოკერიას სახლს. ბ. ბოკერიას გამოუჩნდა გულ-მხურვალე მომხრე და დამხმარე ვექილი დ. კ., რომელიც გატაცებით ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ქალაქის შუა ადგილას მექანიურ ფურნის დაარსებაო; დიდი ქალაქები ქუთაისთან შესადარებელი არ არისო და ბ. არხიტექტორს არც ჰქონდა უფლება აქ ეს მაგალითი მოეყვანაო. საბჭომ მაინც უარი უთხრა ბ. ბოკერიას და ფურნე იქვე დასტოვა.

საყურადღებო ის არის ქუთაისის საბჭოს ისტორიაში, რომ ზოგიერთი

ცნობილი და სჯა-ბაასში სახელ-განთქმული ხმოსანი იშვიათად თუ გამოჩნდება ქუთაისის საბჭოს დარბაზში, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ვინმე პირის მომხრეობა და დაცვაა საჭირო, ან საპარტიო საქმის დახმარება-გატანა. ამ შემთხვევების გარდა არავითარ სამუშაო საქმეში ეს პირები მონაწილეობას არ ღებულობენ: თუ საბჭომ შემთხვევით აირჩია ისინი რომელიმე კომისიის წევრად, დაუყოვნებლივ თხოვნას გზავნიან გამგეობაში—გაგვანთავისუფლეთ, დრო არ გვაქვს, სხვას მიანდეთ ეს საქმეო. ხმოსნის სახელს კი ატარებენ.

დამსწრე.

პროვინცია

ქ. სიღნაღი. ძლივს ეღირსა სიღნაღს ქალაქის მამასახლისის თანაშემწის არჩევა. უკანასკნელს კრებაზედ, რომელიც ამ ცოტა ხანში მეხუთედ მოხდა, ხმის უმეტესობით ამოირჩიეს ნ. ტერ-მატეუზოვი. ტერ-მატეუზოვმა ჯერ ისევ წინა პირველ არჩევნებზედ დაიდგა ყუთი მამასახლისის თანამდებობაზედ, მერე წელს ახალ არჩევნებზედ განიმეორა ყუთის დადგმა, მაგრამ ორჯელვე გაიშავეს. მოგეხსენებათ, —დათვს და ლომს რომ ნანადირევ კურდღელზედ ჩხუბი მოუვიდათ, ნანადირევი კურდღლი მელას დარჩა. ამასაც ისე დაემართა. რამდენიმე პარტია შესდგა, ყველას თავის კანდიდატის არჩევა სურდა და ერთმანეთის ჯიბრით კი ისევ ტერ-მატეოზოვი ამოირჩიეს. სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ტერ-მატეოზოვი ყველა კანდიდატებზე უკეთესი იყო. მაგრამ ამას შემდეგი გამოაჩენს, მხოლოდ დღეს კი ერთი აბლაკატის თაოსნობით ეს არჩევანი გასაჩივრებიათ—უკანონოთ მოხდაო. ჯერ თვით ამმასახლისის დამტკიცებაც არ მომხდარა აბლაკატების ხრიკების წყალობით, თუმცა ეს მეორე თვე სრულდება, რაც ამოირჩიეს და ახლა ამას ზედ ეს სჩივარიც დაუმატეს.

აი, სწორედ ამ აბლაკატების წყალობით არ არის, რომ ვერიქმნა და სიღნაღის გარეთ ერთი დუქანი ვერ დაიკეტა! ეს დუქანი აქამდის თუ სიღნაღის ყმაწვილების ზნეობით გასახრწნელ ბუდეთ ითვლებოდა, ახლა ამას სხვა ზნეც დაჩემდა, სოფლებში გადიტანა თავისი მოქმედება. ამ დუქნის აგენტებმა არა ერთსა და ორს ახლო-მახლო სოფლელ ყმაწვილ-კაცს აუშალეს მეუღლე ბინა და აჰსადეს ნამუსი მის დაცულ ოჯახს. აი ახლაც, ამ დღეებში, ერთი სოფ. ანაგელი ახალგაზდა პატარძალი შეუცდენიათ და გამოუყვანიათ ოჯახიდან მოტყუებით. რამდენიმე დღე თურმე მალეს დუქნის კატაკომბებში და შეაჩვიეს უნამუსო, უპატიოსნო ქცევას. გულ-უბრყვილო გლეხი კი თურმე ნათესავებში დაეძებდა ცოლს; და ბოლოს კი რა გაი გაგლახით მიაგნო გარყვნილების ბუდეს და პოლიციის დახმარებით ცოლი ისევ შინ წაიყვანა, ეგებ ისევ ნამუსიან ცხოვრებას შევაჩვიოო. თავმოჭრილმა ქმარმა მაინც თავისი გაიყვანა. არ დასტოვა ამათ ხელში თავისი ცოლი და წაიყვანა იმ იმედით, რომ ეგებ ისევ დაუბრუნდეს თავის ოჯახს, შეინანოს შეცოდებანი და ისევ ნამუსიანად თუნდაც გაჭირვებით ცხოვრება ირჩიოს უნამუსო-უსინიდისოდ თუნდაც ფუფუნებით, ცხოვრებასა.

უსწავლელმა სოფლელმა გლეხმა თუ ისევ შინ მიიბრუნა ცოლი გასასწორებლად, სრთუკოსანმა და მღვდელ მოქალაქემ კი თვით ახადა ნამუსი და მერე კეტი ჰკრა—უფრო ღრმად შედი გარყვნილების მდორეშიო. ეს მეორე კვირაა ორი მღვდელი იძიებს ერთს ადგილობრივი ეკკლესიის მედავითნის საქმეს, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ ერთი ყმაწვილი ქალი შეუცდენია და, როცა შეუმჩნევია, დამალვა აღარ შეიძლება და მალე მამა გავხდებიო, თავი დაუნებებია. ახლა სხვაზე დანიშნულა. ამ გარემოებამ მთელი ქალაქი ააღაპარაკა, საქმე მომრიგებელ მოსამართლესთანაც გარჩა, სადაც კიდევაც დაუმტკიცდა დანაშაულობა, მაგრამ... ახლა ეს საქმე სასულიერო წოდების ხელში ჩავარდნილა და ხელმეორედ ძიებაშია, მაგრამ აქ ისევ საზოგადოება არის დამნაშავე. უსაზოგადოებოთ ხომ ვერ იცხოვრებს კაცი? საზოგადოება კი რომ ხმარობდეს თავის ძალას და სჯიდეს დანაშაულ წევრს, ბევრი საზიზღარი და სამარცხვინო საქციელი აღარ იქმნებოდა.

შორეული.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

22 ნოემბერი.

პეტერბურგი. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 21 ნოემბერს მობრძანდა გატჩინოში.—21 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით საეკკლესიო პარადი იყო ლეიბგვარდიის სემენოვსკის პოლკისა, გვარდიის I-ლ ცხენოსან-არტილ. ბრიგადისა და სამხედრებთა დარაჯის კორპუსისა. ამ პარადის დროს იმპერატორმა ინახულა შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნებული მეორე ბატარეა გვარდიის საარტილერიო დივიზიონისა.

პეკინი. იმ ბრძანებაში, რომლითაც მემკვიდრეს უფლებანი ჩამოერთვა, ნათქვამია: «ტახტის მემკვიდრემ იცნო, რომ უსამართლობა იქნებოდა, მამაჩემის დანაშაულობის შემდეგ კიდევ წინანდელი ხარისხი დავიჭიროთ, ამიტომ ითხოვა ეს ხარისხი ჩამომართვითო». „რეიტერის სააგენტო"-ს კორესპონდენტი ამის გამო შენიშნავს: ამგვარი ფორმა განგებ მოიგონესო რომ მემკვიდრის თავმოყვარეობა დაიცვან. ამბობენ, მემკვიდრის მოადგილეს მანამდე არ დანიშნავენ, სანამ ქვრივ დედოფალი სახელმწიფოს ხელმძღვანელთ არ მოელაპარაკება. ქვრივი დედოფლის ბრძანება იმის მომასწავებლად მიაჩნიათ, რომ დედოფალი მომხრეა ჩინეთში ცვლილებათა შემოღებისა. იუნ-ში კაი პეკინში მოვიდა და ჯერ უნდა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ინახულოს და მათთან ერთად საქმის ვითარებანი განსაჯოს.

ვენა. საბიუჯეტო კომისიის დღევანდელს კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტი ამტკიცებდა, მთავრობა მუდამ იმას ცდილობს, რომ პარლამენტის წესიერი მოქმედება არასოდეს არ დაირღვეს და ამის განხორციელება არავითარის მიზეზით არ უნდა გადაიდოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს არსებითი ინტერესები დაირღვევაო. მთავრობა უეჭველია იძულებული იქნება არ დაითხოვოს რეიხსრატი ზაფხულამდე—იმის მტკიცე განზრახვაა შეათანხმოს სხვა-და-სხვათა დას ერთი მეორის მეტად მოწინააღმდეგე აზრები სახელმწიფოს სასარგებლოდ. მინისტრ-პრეზიდენტი სთხოვს საბიუჯეტო კომისიას დაამტკიცოს დროებითი ბიუჯეტი, რომელსაც მთავრობა პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევს.

ვარშავა. 20 ნოემბერს იდღესასწაულეს 25 წლის თავი მას შემდეგ, რაც ამ მხარეს შემოღებულ იქმნა 1864 წლის სამოსამართლო წესები.

მოსკოვი. სენატორის ფიოილეცკის და მფარველ საზოგადოების წევრთა თანადასწრებით კრებამ განიხილა ნორმალური წესდება საპყრობილეებიდან განთავისუფლებულთათვის დახმარების აღმოჩენისა. უნდა დაარსდეს საზოგადოება, რომელიც დაეხმარება იმით, რომ საპყრობილედან გამოსული ცუდ გზას აღარ დაადგეს და პატიოსან შრომას ხელი მოჰკიდოს.

სიმფეროპოლი. მედვინეობის წარმომადგენელნი სთხოვენ სამიწად-მოქმედო მინისტრს დაიცვას მედვინეთა მრეწველობა ახლანდელის გამოუთქმელის გაჭირვებისაგან. წარმომადგენელნი თხოულობენ ჯარის-კაცთ არაყის მაგიერ ღვინო ასვან. ფალსიფიკაცია (სიყალბე) მედვინეობის დამღუპველად იცნო კრებამ. საჭიროა ამის საწინააღმდეგოთ სასტიკი სასჯელი შემოიღონ.

ბათომი. თევზი საშუალოდ ედება. ფასები ჩვეულებრივია.

პარიზი. გუშინდელს კრებაზედ პალატაში დეპუტატმა მასსაბიომ სამხედრო ბიუჯეტის გარჩევის დროს განაცხადა, რომ მე მომხრე ვარ ფერრის პოლიტიკისა, ესე იგი საჭიროა გერმანიას დაუახლოვდეთო.

პრეტორია. ბოტა კლიპსტაფელთანაა, კრისსის ტბის ახლო, თან ახლავს ბურთა მთავრობის წევრნი და 1·800 ბური. ტყვე-ბურები ამბობენ, რომ ბოტას ჰსურს ბრძოლის განგრძობა, მაგრამ მისი ჯარი უარს ამბობს ამაზეო.

ლონდონი. კაპშტადტიდან მოსული ამბავის გამო, რომ ფუშეს ბრძანებით ინგლისელი ორი ტყვე—ჯარის-კაცი უნდა დაეხვრიტათ, გუშინ ოფიციალური დეპეშა მოვიდა კაპშტადტიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ კონაუტის პოლკის ორი ჯარის-კაცი მართლაც მოჰკლეს, მაგრამ ტყვედ კი არ წაუყვანიათ და არც დაუხვრეტიათ.

პეკინი. გამოცხადდა, რომ იმპერატორის სახლობა გამოვა კაიფინიდან პირველ დეკემბერს.

ბერლინი. ოფიციალურად გამოცხადებულია სიტყვა კანცლერისა, რომელმაც რიხტერის საპასუხოდ წარმოსთქვა. გრაფმა ბიულოვმა უარ ჰყო ის აზრი, ვითომ პურზე ბაჟის მომატება და მსოფლიო პოლიტიკა ერთი მეორის წინააღმდეგიაო.

«მსოფლიო პოლიტიკის მტკიცე საფუძველია შინაური ნაციონალური პოლიტიკის გაძლიერება—სთქვა ბიულოვმა. რაც შეეხება სავაჭრო ხელშეკრულობათა, გერმანია არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ძალას ატანდეს ესეთი ხელ შეკრულობა, როგორიც უნდა იყოს, სხვას დაუდოს. უცხო გაზეთების კიცხვა ტარიფის გამო, ჩემთვის საუკეთესო ქებაა. უცხო გაზეთების ზოგიერთ წარმომადგენელთა საშუალებანი, რომლითაც ისინი ლანძღავენ მთავრობას—უოდლად უღირსი საქციელია, მთავრობის სურვილია ყველა სახელმწიფოსთან კარგი დამოკიდებულება დაიჭიროს, მხოლოდ არავის კი ნებას არ მისცემს სხვისის მუქარით შეგვაშინოს».

ბერლინი. რეიხსტაგი განაგრძობს კამათს სადამოჟნო ტარიფზე. დეპუტატი გოტჰეინი (თავისუფალ მოაზრეთა მომხრე) იწუნებს კანონ-პროექტს იმ აზრით, რომ ბაჟის მომატება ხალხის საზრდოს გააძვირებსო. დეპუტატი კამპი (იმპერიის მომხრე) მადლობას სწირავს კანცლერს სასოფლო მეურნეობის მზრუნველობისათვის და არწმუნებს, რომ რუსეთიდან პურის გამოზიდვა სრულიად დამოკიდებულია გერმანიისაგან. პოლონელი კომეროვსკი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს იმ საჭიროებას, რომ სამეურნეო მრეწველობისათვის შემოღებულ იქმნას უფრო მეტი ბაჟი. კამათი ხვალაც გასტანს.

ვენა. საბიუჯეტო კომისიამ მიიღო დროებითი ბიუჯეტი.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

გამოცდილი მებაღე
ძლიერ იაფად კისრულობს ბაღ-ბოსტნების გაშენებას და აძლევს ყოველ-გვარ რჩევა-დარიგებას.
ადრესი: მუშტაიდი, ზ. დ. პრიდიშკას.

მ ხ ა ტ ვ ა რ ი
ლუკა მ. ხიმშიაშვილი
ამით ვაცხადებ, რომ შემიძლიან დახატვა ოთახებისა ევროპიულ და აზიურ გემოვნებით, შეღებვა მკვიდრი წამლებით შენობის ყოველ ნაწილთა და ყოველნაირ ნივთთა. ვწერ ვივესკებს და ვმართავ ყველაფერს, რაც სახლში გასამართი და შესაკეთებელი მოიპოვება. ფასებს დიუკლებ ხოლო ქართველებს. ამასთანავე ვიცი ენები: ქართული, ნემეცური, ფრანგული, რუსული, სომხური, თათრული და სხვა. შემიძლიან ვიკისრო მოურაობა და თარჯიმნობა. ადრესი: ელისაბედის ქუჩა, ნადიროვის სახლი, № 134. (3—198—1)

ამერიკულ ვაზის სანერგეში
„კლო-ყგურული"
იყიდება ერთი წლის ფესვ-გამაგრებული ვაზი საუკეთესო ადგილობრივ, ყირიმის. ბორდოს, ბურგუნდიის, შამპანიის, რეიმსიხა და სხვათა ჯიშისა. მაქვს აგრეთვე 403 ჯურის ნაყოფის მომცემი გიბრიდები ღვინისა, საჭმელი ყურძნისა და საფერავისა, აგრეთვე ამერიკული გიბრიდები სამყნობლად. ყოველი ჯიშის გიბრიდების ამორჩევა შეიძლება სურვილისამებრ. მაქვს აგრეთვე თესლი ნაყოფიერი გიბრიდებისა. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ყოველთვის წერილით ან დეპეშით შემდეგის ადრესით: Въ Тьебо, Кутаисъ. მანქანა „დორემ" ხეხილების სამყნობლად შეიძლება დაიკვეთოს ფეიქაროვის მაღაზიიდან ქუთაისში. 4—4

ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.
„ПЧЕЛОВОДНЫЙ МУЗЕЙ"
иллюстрированный журналъ по пчеловодству,
Выходитъ въ Ставрополѣ-Кавказскомъ подъ редакціею Г. В. Парадіева не менѣе 8 разъ въ годъ книжками въ объемѣ до 2½ печатн. листовъ съ иллюстраціями и приложеніями.
ПРОГРАММА ЖУРНАЛА:
Къ естественной исторіи пчелы. Медоносныя растенія. Враги и болѣзни пчелъ. Ульи, павильоны, омшанники Пасѣчная утварь. Медъ и воскъ. Біографическіе очерки. Образцовыя пасѣчныя хозяйства. Фельетонъ. Словарь пчеловодства. Библіографія. Разныя извѣстія. Объявленія.
Подписка принимается во всякое время.
Подписная цѣна: въ годъ ДВА руб. съ доставкою и пересылкою.
Подписку адресовать: „Ставрополь-Кавказскій, Георгію Васильевичу Парадіеву",
Для ознакомленія высылается базплатно одинъ изъ вышедшихъ нумѣровъ жунала по первому требованію.
Редакторъ-издатель Г. В. Парадіевъ.
(Ъ. 3—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი"-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ამხანაგობა „შრომა"
საკუთარ ხეხილეულობის სანერგიდან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ: აგრ. დაგოდეხში—გ. აფრიკიანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორა»-ს; მუშტაიდში—ზ. პრიდიშკას.
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—1)

ტელეფონი № 741.
განმარტება
სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.
ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?"
პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.
ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ, სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა· Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—68)
ტელეგ. ადრესი: Тифлисъ. „Фармацевтика"

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Ноября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.